

სკოპინგის დასკვნა N40

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მდ. ფარავანზე 4.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (ს/კ 206237491);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 15.04.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდინარე ფარავანზე 4.6 მგვტ სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, სოფ. ხორენიასა და სოფ. ხოსპიოს მიმდებარედ, მდინარის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის, ასევე, 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომ - ეგხ) მშენებლობა-ექსპლუატაციას. საპროექტო „ფარავანი 2 ჰესი“ მოეწყობა მდ. ფარავანის ხეობაში, ზღვის დონიდან 1764 და 1716 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, დაახლოებით 2.6 კმ სიგრძის მონაკვეთზე, ხოლო ჰესის ინფრასტრუქტურის ობიექტების განლაგება დაგეგმილია მდ. ფარავანის მარცხენა ნაპირზე. ჰესის ძირითადი ინფრასტრუქტურა (სათავე ნაგებობა, შეტბორვის არეალი, ჰესის შენობა, სადაწნეო-სადერივაციო სისტემა) განთავსებული იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, ხოლო საპროექტო ეგხ-ის დერეფანი ემთხვევა ასევე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო სათავე ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. პატარა ხორენია) დაშორებულია დაახლოებით 1015 მეტრით, ხოლო მაქსიმალური შეტბორვის არეალიდან - დაახლოებით 892 მეტრით. საპროექტო ჰესის შენობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. ხორენია) მდებარეობს დაახლოებით 1670 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნიდან დაშორებულია დაახლოებით 3-4 მ-ით, ხოლო ნაწილობრივ მოქცეულია ეგხ-ის დაცვის ზონის საზღვრებში. საპროექტო

ტერიტორიის მიმდებარედ გადის საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრალური საავტომობილო გზა, ახალციხე-ნინოწმინდა (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) - ს-11.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 4.6 მგვტ, ხოლო ელექტროენერჯის ჯამური გამომუშავება წლიურად შეადგენს 25745674.82 კვტ.სთ-ს. მდინარის ეკოლოგიური ხარჯი იქნება 1.5 მ³/წმ. ჰესის შემადგენლობაში გათვალისწინებულია სათავე ნაგებობა, დახურული სადაწნეო-სადერივაციო სისტემა, ძალური კვანძი.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის, განხილულია ჰესის ალტერნატივები. ასევე მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. ჰესის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივის შერჩევა მოხდა სოციალური, გარემოსდაცვითი და ასევე ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ფარავანი 2 ჰესის“ სათავე ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია სოფ. პატარა ხორენიასა და სოფ. ხორენიას მიმდებარედ. ნაგებობების განთავსების მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია: X-375241; Y-4576782. სათავე ნაგებობის შემადგენლობაში შედის: 4.8 მ სიმაღლის ფარებიანი კაშხალი, გვერდითი ტიპის წყალმიმღებით; სალექარი, რომელიც აღჭურვილი იქნება 6 მ³/წმ წარმადობის ორი იდენტური ავზით; ნაგავდამჭერის გისოსები; დაბალზღურბლიანი დამბა; მრავალი გუბურა/აუზით შემდგარი თევზსავალი (თევზსავალში გასატარებელი საანგარიშო ხარჯი იქნება 0.85 მ³/წმ) და თევზამრიდი. წყალმიმღები ნაგებობა მოეწყობა მდინარის (შეტბორვის) მარცხენა ნაპირზე.

სათავე კვანძის წყალმიმღების და სალექარის გავლის შემდეგ წყალი გადავა სადერივაციო-სადაწნეო მილსადენში, რომელიც მიუყვება მდ. ფარავანის მარცხენა ნაპირს. სადაწნეო აუზამდე წყლის მიწოდება მოხდება 1750 მ სიგრძის დახურული რკინაბეტონის არხის და 650 მ სიგრძისა და 2.5 მ დიამეტრის სადაწნეო მილსადენის საშუალებით. არხიდან წყალი მიეწოდება სადაწნეო აუზს (პარამეტრებით 20X10X10 მ). სადაწნეო აუზი ასევე აღჭურვილია წყალსაგდებით, რომლის საშუალებით ჭარბი ხარჯის ჩაშვება მოხდება მდინარეში, დაახლოებით 50 მ სიგრძის ღია არხის საშუალებით. სადაწნეო აუზის ავანკამერიდან იწყება ლითონის სადაწნეო მილსადენი, რომელიც ჰესის შენობის სიახლოვეს განშტოვდება ორ სატურბინე მილსადენად, საიდანაც წყალი ჰესის შენობაში განთავსებულ აგრეგატებს მიეწოდება.

ძალური კვანძი მოეწყობა მდინარის მარცხენა ნაპირზე (ზ.დ. დაახლოებით 1722 მ ნიშნულზე). განთავსების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-374434; Y-4577913. ძალური კვანძის შემადგენლობაში იქნება სააგრეგატო შენობა, გამყვანი არხი და ქვესადგური. ჰესის შენობის პარამეტრებია: სიგრძე - 31 მ, სიგანე - 13 მ, ხოლო სიმაღლე 13 მეტრი. ჰესის შენობაში გათვალისწინებულია 2.3 მგვტ სიმძლავრის 2 ფრენისის ტიპის ჰორიზონტალურ ღერძიანი ტურბინის დამონტაჟება (ჯამური სიმძლავრე - 4.6 მგვტ). ჰესის შენობაში ასევე განთავსებული იქნება ორი 35 კვ ძაბვის სატრანსფორმატორო კამერა და ერთი საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი. აგრეგატებიდან გამომუშავებული წყლის

მდ. ფარავანში ჩაშვება გათვალისწინებულია რკინაბეტონის ორი გამყვანი არხის საშუალებით (თითოეულის სიგრძე 25 მ).

ჰესის გამომუშავებული ელექტროენერჯის ელექტროსისტემის ქსელში ჩართვის მიზნით გათვალისწინებულია 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ჰესის შენობაში მოწყობილი ქვესადგურიდან, 7.9 კმ სიგრძის 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ-ის საშუალებით, გათვალისწინებულია „ფარავანი 1 ჰესის“ საპროექტო 35 კვ ძაბვის ქვესადგურთან დაკავშირება, სადაც მოხდება „ფარავანი 1“ და „ფარავანი 2“ ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრება. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია, სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვის მიზნით, „ფარავანი 1 ჰესის“ ქვესადგურიდან 35 კვ ძაბვის 1.5 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით დაუერთდება სს „ენერჯო პრო ჯორჯიას“ ქსელს.

საპროექტო ტერიტორიამდე გადაადგილება შესაძლებელი იქნება როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ს-11 მაგისტრალზე (ახალქალაქი-ნინოწმინდა (სომხეთის საზღვარი)), ისე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების საშუალებით, საიდანაც ჰესის ინფრასტრუქტურის ობიექტებამდე მისასვლელად გათვალისწინებულია ახალი 4.5-5 მ სიგანის მქონე გზების მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე სადერივაციო სისტემის მოსაწყობად გზა განთავსდება არხის გასწვრივ, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე გაივლის სისტემის ზემოდან. ჯამში დაგეგმილია 2 კმ-მდე ახალი გზის მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კაშხლის თხემზე ასევე გათვალისწინებულია საფეხმავლო ხიდის მოწყობა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობაა 24 თვე. მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია დაახლოებით 40 ადამიანის დასაქმება. პროექტის მიზნებისთვის დაგეგმილია ორი სამშენებლო ბანაკის მოწყობა. პირველი სამშენებლო ბანაკი მოეწყობა სათავე ნაგებობის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 202.63.19.34.011.004) ნაწილზე, 26800 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე. (განთავსების GPS კოორდინატებია: 1. X-374880; 4576556; 2. X-375028; Y-4576753; 3. X-375118; Y-4576700; 4. X-374967; Y-4576497). მეორე სამშენებლო ბანაკი მოეწყობა ძალური კვანძის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 63.19.34.655) ნაწილზე, 2500 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე. მეორე სამშენებლო ბანაკის განთავსების GPS კოორდინატებია: 1. X-374162; Y-4578113; 2. X-374196; Y-4578166; 3. X-374227; Y-4578147; 4. X-374195; Y-4578093. პირველი სამშენებლო ბანაკიდან (სათავე ნაგებობის მიმდებარედ) უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 1180 მ, ხოლო მეორე სამშენებლო ბანაკიდან (ძალური კვანძის მიმდებარედ) - დაახლოებით 1940 მეტრით. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 30 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძის განთავსება იგეგმება მხოლოდ პირველი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, რომელიც იმუშავებს წელიწადში 100 დღე (16 სთ/დღე).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო ობიექტების ელექტროენერჯით მომარაგება განხორციელდება გენერატორების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება საწვავის დაღვრის საწინააღმდეგო სისტემებით.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში წყლის გამოყენებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ. მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო, ბეტონის ნარევის დასამზადებლად, ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკური მიზნებისთვის, ასევე მშრალ ამინდებში სამშენებლო მოედნების და მისასვლელი გზების დასანამად. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ბანაკების სასმელი წყლით მომარაგება მოხდება ბუტილირებული სახით. პირველი სამშენებლო ბანაკის ტექნიკური დანიშნულებით წყალმომარაგება მოხდება მდ. ფარავნიდან (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-375306; Y-4576742). ბანაკის ტერიტორიაზე ტექნიკური და სამეურნეო დანიშნულების წყლებისათვის მოწყობილი იქნება 20 მ³ და 10 მ³ ტევადობის სამარაგო რეზერვუარები. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმოს მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საასენიზაციო ორმოს პერიოდული გაწმენდა მოხდება სპეც-ავტომობილის საშუალებით, წყალკანალის ადგილობრივ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო, აგრეგატების გაგრილების და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისა და გაწმენდისათვის ჰესის შენობის ტერიტორიაზე მოეწყობა საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება სპეც-ავტომობილის საშუალებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში ფუჭი ქანების წარმოქმნა მოსალოდნელია ჰესის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტების (სათავე ნაგებობა, ძალური კვანძი, სადაწნეო-სადერივაციო სისტემა, ეგზ-ის საძირკვლების და სხვ.) მოწყობის პროცესში. სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ექსკავირებული იქნება დაახლოებით 300000 მ³, საიდანაც უკუყრილებისთვის გამოყენებული იქნება დაახლოებით 160000 მ³, ხოლო დანარჩენი განთავსდება „ფარავანი 1 ჰესის“ სანაყაროს ტერიტორიაზე.

„ფარავანი 1 ჰესის“ სანაყარო მოეწყობა მდ. ფარავანის მარცხენა ნაპირზე, არსებული გრუნტის გზის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 65.09.33.368) 3200 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე (GPS კოორდინატებია: 1. X-379680; Y-4574853; 2. X-379749; Y-4574849; 3. X-379743; Y-4574804; 4. X-379674; Y-4574809). სანაყაროდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაცილებულია დაახლოებით 1155 მ-ში. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სავარაუდო რაოდენობა იქნება 7000-7500 მ³. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებისათვის სანაყაროების ტერიტორიებზე გამოყოფილი იქნება ცალკე უბნები და სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ძირითადად გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებში.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ჰესის არეალში გამოყოფილი იქნა 7 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე): სგე1 - დეტრიტუსი და ხრეში, ნატეხების შემცველობით, თიხნარი შემავსებლით; სგე2 - მსხვილი ნატეხები და დეტრიტუსი, ხრეშისა და თიხნარის შემავსებლით; სგე3 - ნატეხები, დეტრიტუსი, ბლავად მომრგვალებული ლოდები და რიყის ქვები, თიხნარი შემავსებლით; სგე4 - ხრეში კენჭნარის შუაშრეებით, ქვიშისა და ქვიშნარის შემავსებლით, მკვრივი, წყლით გაჯერებული; სგე5 - თიხა, მოწითალო-ყავისფერი, ნახევრად მკვრივი, ხრეშისა და დეტრიტუსის შუაშრეებით; სგე6 - თიხა, მომწვანო-ნაცრისფერი, ნახევრად მკვრივი, ხრეშისა და დეტრიტუსის შუაშრეებით; სგე7 - დოლერიტები და ბაზალტები, სუსტად გამოფიტული, ნაპრალოვანი. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიისა და მიმდებარე ფერდობების დეტალური გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიშის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება იქთიოფაუნაზე ზემოქმედებასთან. საველე კვლევებისა და არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, საპროექტო არეალში გავრცელებულია 8 სახეობის თევზი, მათ შორის, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა - ნაკადულის კალმახი (*Salmo trutta*). მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მდინარის ცალკეული უბნების ამოშრობასთან, სამიგრაციო გზების ბლოკირებასთან, მდინარის ამღვრევასთან, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის შემცირებასთან და სხვ. მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: მდინარეში მუდმივად დასატოვებელი ეკოლოგიური ხარჯის გატარება, თევზამრიდის და თევზსავალი ნაგებობების მოწყობა და მათი ეფექტიანი ფუნქციონირების მონიტორინგი და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საველე კვლევებისა და არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, საპროექტო არეალში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35, ხელფრთიანების 10-მდე, ფრინველების 100-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 15-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან საპროექტო არეალში წარმოდგენილია ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*), ამიერკავკასიური ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), ბრუცა (*Nannospalax nehringi*), წავი (*Lutra lutra*), ჭრელტყავა (*Vormela peregusna*).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მდ. ფარავანი გაედინება კლდოვან ხეობაში, რომელიც მოკლებულია ტყის საფარს, ხოლო ჭალის ტყე განვითარებულია მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახით. ხეობაში ყველაზე ფართოდ ვრცელდება კლდე-ნაშალები და მდელოები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და ზურმუხტის ქსელის საზღვრებში. ტერიტორია ასევე არ ექვევად ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიის (SPA) და ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის (IBA) საიტების ფარგლებში.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, არ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი - კარნეთის ნამოსახლარი. საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ასევე ექვევად კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - კარნეთის ეკლესიის ვიზუალური დაცვის არეალში. ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებზე დეტალური კვლევების ჩატარება დაგეგმილია გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალის მიმდებარედ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ დაგეგმილია „ფარავანი 1 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაცია. გარდა ამისა, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას განხილულ უნდა იქნეს მდ. ფარავნის ხეობაში დღეისათვის მოქმედი „ახალქალაქი ჰესი“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2) და „ფარავნის ჰიდროელექტროსადგური“, ასევე დაგეგმილი „არაკალი ჰესი“. წარმოდგენილი ინფორმაციით კუმულაციური ზემოქმედება დეტალურად იქნება შეფასებული გზშ-ის ანგარიშში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. ასევე, ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს, ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 15 მაისს, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ხორენიას და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიგრაშენის კულტურის სახლის შენობებში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვებზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: საპროექტო არეალში ისტორიულ სოფელს (ნასოფლარს) და მასზე ზემოქმედებას; შეტბორვის ფართობს; პროექტის დაფინანსების საკითხს და

განმახორციელებელი კომპანიის შესახებ ინფორმაციას; პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღს; პროექტირების ეტაპზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის ჩართულობის შესაძლებლობას; საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში არსებულ საფრთხეებს; სოციალური პროექტების განხორციელებას და სხვ. საჯარო განხილვებზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „გამა კონსალტინგისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზის ანგარიშში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
5. გზის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - პროექტის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, საპროექტო მახასიათებლების მითითებით;

- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ჰესის ტიპის და მისი ინფრასტრუქტურული ობიექტების (სათავე კვანძი, სადაწნეო/სადერივაციო მილსადენი, ძალური კვანძი), ეგხ-ის, ქვესადგურის, სამშენებლო ბანაკების და სანაყაროს განთავსების, მისასვლელი გზების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების, ეგხ-ის, ქვესადგურის, სამშენებლო ბანაკების და სანაყაროს განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების, ეგხ-ის, სამშენებლო ბანაკების და სანაყაროს, ასევე მისასვლელი გზების განთავსების ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, საპროექტო ობიექტების ერთიან Shp ფაილებთან ერთად (მათ შორის, შეტბორვის უბნის კონტურების მითითებით);
- ინფორმაცია საპროექტო არეალის გარემო-პირობების შესახებ;
- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურის განთავსების (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ (მათ შორის, სათავე და ძალური კვანძის საძირკვლებისა და თხემების ნიშნულები);
- ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების დეტალური აღწერა (მათ შორის, თითოეული ობიექტის ტექნიკური პარამეტრები);
- ჰიდროელექტროსადგურის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი, მათ შორის, ქვესადგური და ეგხ და მათი დაშორება მოსახლეობიდან, კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი/პროექტის განმარტებითი ბარათი ჰესის შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღწერით და სქემატური ნახაზებით, ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის არიდებისთვის/მდინარის ნაკადის გადაგდებისთვის გამოყენებული სამუშაოების/საშუალებების, მათ შორის, აღნიშნული მიზნით მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ;
- სათავე კვანძზე კატასტროფულ სიტუაციებში მომატებული წყლის მართვის საკითხები (მათ შორის, ინფორმაცია ნამატი წყლის ენერჯის ჩამქრობი ჭის მოწყობის საჭიროების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით);

- ინფორმაცია ჰესის შენობის/ძალური კვანძის შესახებ, ძალური კვანძის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის, ჰიდროტურბინების აღწერა, თითოეული ტურბინის სიმძლავრის მითითებით. ასევე, ინფორმაცია ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ და ჰესის შენობაში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო-სადაწნეო სისტემის შესახებ, მათ შორის: მილსადენისა და ბეტონის არხის პარამეტრები და ფიზიკური მახასიათებლები (დაზუსტებული სიგრძე, სიმაღლე, დიამეტრი). ასევე, ინფორმაცია მილსადენის განთავსების პირობების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა დასაბუთდეს შერჩეული ტიპის თევზსავალის უპირატესობა სხვა სახის თევზსავალთან შედარებით. ასევე განხილული უნდა იყოს თევზამრიდის მოწყობის საკითხი. ანგარიშში უნდა მოიცავდეს თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობების დეტალურ აღწერას, მისი ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულებს, პარამეტრებს, ჰიდრავლიკური გაანგარიშების შედეგებს (იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება), აუზებს შორის სხვაობებს. ინფორმაციას თევზსავალ ნაგებობაში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ;
- ინფორმაცია სათავე კვანძზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტბორილი ადგილების ფართობის შესახებ, ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის ნიშნულებისა და ფართობების მითითებით. ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის უბნის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურით (სადერივაციო/სადაწნეო სისტემა/მილსადენი, მისასვლელი გზები და სხვ.) მდინარის, მდინარის შენაკადებისა და ხეობის გადაკვეთის შესახებ, შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტების მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით სადაწნეო მილსადენისა და ძალური კვანძის დაცვის ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებების ეფექტიანობის შესახებ;
- ინფორმაცია ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში ჩაშვების შესახებ, გამყვანი არხის/მილის პარამეტრებისა და მდინარეში წყლის ჩაშვების GPS კოორდინატების მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ჰესის მიერ გამოძუშავებული ელექტროენერჯის შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ;
- ინფორმაცია ქვესადგურისა და ეგზ-ის მოწყობა-ექსპლუატაციის შესახებ, კერძოდ:
 - საპროექტო ქვესადგურის და ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები და ფიზიკური მახასიათებლები (ქვესადგურის სიმძლავრე, ეგზ-ის ტიპი, სიგრძე, ანძების სიმაღლე, რაოდენობა და სხვ.) ცხრილი და ინფორმაცია ქვესადგურისა და ეგზ-ის განთავსების ტექნიკური პირობების შესახებ

(საყრდენი ანძების კონსტრუქციები, სადენების ტიპები, საყრდენების დამონტაჟების პირობები, საძირკვლების პარამეტრები);

- ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის, საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანით), მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
- ქვესადგურიდან, ასევე ეგხ-ის დერეფნიდან და ეგხ-ის დაცვის ზონიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე, ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე ჩვენებით);
- დეტალური ინფორმაცია ქვესადგურის, ეგხ-ის საპროექტო მონაკვეთის/დერეფნის და საყრდენების ტერიტორიების, ასევე აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებული გარემო პირობებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ;
- საპროექტო ეგხ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის დეტალური აღწერა;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო-პირობების დახასიათება, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში) დეტალური ინფორმაცია მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საპროექტო ეგხ-ის დერეფნის shp ფაილები (მათ შორის, პოლიგონური), ეგხ-ის საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები;
- ინფორმაცია ეგხ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ;
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის გამანაწილებელ ქსელთან დაერთების შესახებ;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ქვესადგურის მოწყობისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული აკრძალვები და მოთხოვნები;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძის უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე საპროექტო ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში) - ნაგებობ(ებ)ის ტიპის პარამეტრებისა და ეფექტურობის

მითითებით. გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის ტიპი, ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები და shp ფაილები). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- ინფორმაცია გავლენის ზონაში მოქცეული საავტომობილო ხიდების, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზისა და მათზე ზემოქმედების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები, აღებული წყლის რაოდენობა (დღეში, თვეში, წელიწადში), საპროექტო ტერიტორიამდე წყლის მიწოდება და სხვ.);
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობისა და მართვის შესახებ, მათ შორის, დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე მოსაწყობი ნავთობდამჭერი/გამწმენდი ნაგებობებისა და სალექარების შესახებ (ტიპები, განთავსების ადგილები, პარამეტრები, გაწმენდის ეფექტურობა);
- ინფორმაცია გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის შესახებ (GPS კოორდინატები და Shp ფაილები). **ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;**
- ინფორმაცია ნავთობდამჭერ/გამწმენდ ნაგებობებსა და სალექარებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და ინფორმაცია წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე), დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის

წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია **საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;**

5.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის, მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) შესახებ;
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყაროები) შესახებ (სანაყაროს ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით). დასაბუთებული უნდა იყოს სანაყარო(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები. მათ შორის, **სანაყაროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული აკრძალვები და მოთხოვნები;**
- ინფორმაცია ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის/ობიექტების მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია მისასვლელი გზებისა და ხიდის მოწყობის შესახებ, საპროექტო გზებისა და ხიდის შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით), მათ შორის, არსებული გზების რეაბილიტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია. ასევე ერთმანეთისგან უნდა იქნეს გამოყოფილი არსებული და ახალი გზების მონაკვეთები, სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს გზების მოწყობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები;

- სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;
- მშენებლობის ეტაპზე მოსაწყობი ბეტონის კვანძის, სასაწყობო მეურნეობებისა და საამქროების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, შესაბამისი ფიზიკური მახასიათებლების მითითებით, ასევე, ექსპლუატაციის ეტაპთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები;

5.2 ინფორმაცია სამშენებლო ბანაკების განთავსების შესახებ, მათ შორის:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკებისა და სამშენებლო მოედნების შესახებ. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის და მოედნების დაზუსტებული ლოკაციები (shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით) და შერჩეული ტერიტორიის აღწერა, ამასთან დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის და მოედნების განთავსებისთვის შერჩეული ლოკაციის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. მათ შორის, სამშენებლო ბანაკ(ებ)ის მოწყობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს წყალდაცვითი ზოლის რეგლამენტით გათვალისწინებული აკრძალვები და მოთხოვნები;
- სამშენებლო ბანაკების გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია ბანაკების ფართობის, ასევე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობის დროს სამშენებლო ბანაკების და მოედნების ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე და მოედნებზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;

5.3. გზშ-ის ეტაპზე წარმოსადგენი ჰიდროლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ინფორმაციას მდ. ფარავნის და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ;
- ინფორმაციას საპროექტო არეალში (როგორც კაშხლის ზედა, ასევე ქვედა ბიეფში), მდინარე ფარავნის შენაკადების შესახებ (მათ შორის, საპროექტო ინფრასტრუქტურით გადასაკვეთი ხეობების შესახებ), მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით;
- ინფორმაციას მდ. ფარავნისა და მისი შენაკადების მაქსიმალურ და მინიმალურ ჩამონადენზე და ასევე მყარ ნატანზე;
- ინფორმაციას მდ. ფარავნისა და მისი შენაკადების საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდა წლიური განაწილების შესახებ;
- ინფორმაციას მდინარის სიგრძისა და სიგანის (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული) შესახებ;
- დეტალურ ინფორმაციას ჰიდროელექტროსადგურის მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე, 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;

- ინფორმაციას წყალდიდობის/წყალმოვარდნების რისკების და საპროექტო არეალში არსებული ღვარცოფული ნაკადების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაციას სათავე კვანძის ქვედა ბიეფში გასაშვები სავალდებულო ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯის შესახებ (ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლისა და რაოდენობის მითითებით). მოცემული უნდა იყოს დასაბუთება/განმარტება, რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯი მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს, მათ შორის, წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შესახებ;
- ინფორმაციას საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების (ჰიდროლოგიური საგუშაგოს) დაყენების, წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდების აგების (სათავე და ძალური კვანძის ნაგებობების განთავსების ადგილებში) შესახებ. ასევე, ყოველდღიური დონეების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენის შესახებ;
- ინფორმაციას პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლებების შესახებ (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშებაში);

5.4. გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში);

5.5 გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში

არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის, იქთიოფაუნაზე, ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საკომპენსაციო ღონისძიებებზე;

- ზემოაღნიშნულ კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, სხვასთან ერთად, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მისასვლელი გზების, სამშენებლო ბანაკების, ფუჭი ქანების სანაყაროს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურისა და მისი მშენებლობისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით (ე.წ ტყეკაფის უწყისი);
- გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებით გამოწვეული წყლის ნაკადის შემცირებისა და დარჩენილი წყლის ხარჯის საკმარისობის საკითხს, ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნების თვალსაზრისით, რაც განხილული უნდა იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტის მიერ;
- გზშ-ს ანგარიშში სრულფასოვნად უნდა აისახოს კუმულაციური ზემოქმედების დეტალური დასაბუთება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საპროექტო ტერიტორიიდან 4 კმ-ში მდებარე „**ფარავანი 1 ჰესის**“ მშენებლობასთან მიმართებით მოსალოდნელ კუმულაციურ ზემოქმედებაზე. ანგარიშში უნდა შეიცავდეს მყარად დასაბუთებულ ინფორმაციას ამ ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების საჭიროებისა და განხორციელების შესახებ;
- ნეგატიური ზემოქმედებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს საკომპენსაციო ღონისძიების მასშტაბი და წარმოებულ იქნას მდინარის დათევზიანება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დათევზიანების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ჩასატარებელი კვლევების თაობაზე, კერძოდ:
 - მშენებლობის პროცესში სეზონური იქთიოლოგიური კვლევების ჩატარებისა და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენის საკითხი. კვლევებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება/ანალიზს (გამოთვლილი იქნეს თითოეული სახეობის თევზის რაოდენობა ერთეულ ფართობზე, მდინარის სიგრძივ მონაკვეთზე ან დაანგარიშებული იქნეს თევზჭერის ძალისხმევა (CPUE)), რათა შემდგომში სრულყოფილად განისაზღვროს ჰესის ნეგატიური ზეგავლენის დონე;

- ექსპლუატაციის ეტაპზე: ოპერირების დაწყებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში მიმდინარე კვლევებისას გამოთვლილი იქნეს თევზის რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოთვლილი იქნეს თითოეული სახეობის თევზის რაოდენობა ერთეულ ფართობზე, მდინარის სიგრძეზე მონაკვეთზე ან დაანგარიშებული იქნეს თევზჭერის ძალისხმევა (CPUE)). გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში ფონური მდგომარეობის ანალიზის მიზნით, იქთიოლოგიური მონიტორინგისთვის ასევე უნდა განისაზღვროს ზემოქმედების არეალს მიღმა არსებული საკონტროლო უბნები. ამავე ანგარიშის იქთიოლოგიური კვლევების ნაწილში გამოთვლილი უნდა იქნას მოპოვებული თევზების რაოდენობრივი მაჩვენებელი;

6. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება. მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- ინფორმაცია გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე (მათ შორის, მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე) მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შემარბილებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით წყლის და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატურ, მათ შორის, საპროექტო არეალის მიკროკლიმატურ პირობებზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ნარჩენის კოდი, დასახელება, რაოდენობა, შემდგომი მართვის საკითხი), რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან. მათ შორის, ინფორმაცია ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდებისა და პირობების შესახებ. ნარჩენების მართვის გეგმა;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის, სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში დაგეგმილი, მათ შორის, ანალოგიური პროექტები;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთმეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), არსებული ან/და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების გათვალისწინებით (მაგ. „ფარავანი 1 ჰესი“, „ახალქალაქი ჰესი“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2) „ფარავნის

ეკოლოგიური ხარჯი თვეების მიხედვით													
ეკოლოგიური ხარჯი, მპ/წმ													
ეკოლოგიური ხარჯი, %													
საშუალო მრავალწლიური ხარჯის რამდენ %-ს შეადგენს ეკოლოგიური ხარჯი													

ცხრილი 2. თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95%

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
საშ													
მაქს													
მინ													
10%													
50%													
75%													
95%													

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია ექცევა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის -

კარნეთის ეკლესიის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალში. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს არაერთი არქეოლოგიური ობიექტი - კარნეთის ნამოსახლარი და ხორენის ნამოსახლარები. შესაბამისად, პროექტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის შესაძლებლობაც ასევე მაღალია. შესაბამისად, ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის წინასწარი არქეოლოგიური კვლევის ანგარიში და ძეგლზე ზემოქმედების შეფასების დასკვნა. ამასთან, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, გზშ-ის ანგარიშში ასახული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოების სანაპირო ზონის ეროზიულ/დატბორვის პროცესებზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკები და მისი თავიდან აცილების/შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, დეპარტამენტთან შეთანხმებული უნდა იქნას ჰესის მშენებლობის დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია, რომელშიც სრულყოფილად იქნება განხილული და შეფასებული ნებისმიერი სახის ზემოქმედება დეპარტამენტის ბალანსზე არსებულ საავტომობილო გზასთან მიმართებით. ამასთან, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცნობით, საპროექტო ტერიტორიასთან განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილი 35/0.4 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები (ს/კ 65.00.076) და შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად, სავალდებულოა სამუშაოების შემსრულებელმა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით, რომლითაც დამტკიცებულია „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის აღნიშნული, რომელი კრიტერიუმებით გამოვლინდა და შემოწმდა ჰიდროლოგიური მსგავსება (გვ. 62). ამასთან, არ არის განხილული მდ. ფარავნის მინიმალური ჩამონადენი. ასევე, ტექსტი მოითხოვს საფუძვლიან რედაქტირებას, ვინაიდან მასში მრავლადაა ბუნდოვანი ცნებები, უზუსტობები და შეცდომები (გვ. 59 - „სამხრეთიდან უერთდება მდინარე ბუღდაშენს“, გვ. 60 - „ფარავნის კალაპოტის პროფილი ბუღდაშენის წყალგამყოფში ფარავანი 1-ის წყალმიმღებამდე“, გვ. 61 - „კონცენტრაციის დრო“, გვ. 61 - „სოფელ არაქალის შესასვლელ მონაკვეთთან“, გვ. 62 - „ერთი მეტეოროლოგიური მოვლენა, რომლის ნალექების დრო შეადგენს 12 სთ-ს“, გვ. 62 - „სამარის ტბა“, გვ. 66 - „სველი ნიადაგი“, გვ. 67 - „სათანადო მასშტაბის კოეფიციენტი“, გვ. 67 - „ნალექების მაქსიმალური სიღრმე“ და სხვ.);
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კვეთს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე (დოლერიტი) გაცემული N1004275 ლიცენზიის (შპს „ჯავახავტოგზა“, 27.10.2014 წ.,

ვადა - 20 წ.) კონტურს. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცნობით, საპროექტო „ფარავანი 2 ჰესის“ სადერივაციო არხით იკვეთება შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული აღმალო-მურჯახეთის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენი. აღნიშნული სატუმბი სადგური ემსახურება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 598 ჰა სავარგულის მორწყვას. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ჰესის საპროექტო მონაკვეთზე (სათავე ნაგებობასა და ძალურ კვანძს შორის) ექცევა შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას“ კუთვნილებაში არსებული სატუმბი სადგური, რომლის მილსადენსაც კვეთს საპროექტო სადერივაციო არხი. სადერივაციო არხის მოწყობის შემდეგ, არსებული მილსადენი მოექცევა არხის ზემოთ, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს სადერივაციო არხის ზემოთ გზის მოწყობას და საჭირო გახდეს გზის გადატანა. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ ცნობით, საპროექტო 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის კვეთს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ კუთვნილ 110 კვ. ეგხ-ს (ს/კ 63.00.075). შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურულიდან/ობიექტებიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას;
- წარმოდგენილი SHP ფაილების მიხედვით მაქსიმალური შეტბორვის კონტური ზოგიერთ მონაკვეთში მოიცავს გადამცემი ხაზის კონტურს, რაც დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, ქვესადგურის მოწყობა გათვალისწინებულია ჰესის შენობის შიგნით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.“ დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ჰესის შენობაში მოსაწყობი ქვესადგურის შესახებ (მათ შორის, ქვესადგურის სიმძლავრე);
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნორმალური შეტბორვის სარკის ზედაპირის ფართობი არის 7496 მ², თუმცა Shp ფაილების თანახმად, ნორმალური შეტბორვის სარკის ზედაპირის ფართობი შეადგენს 4957.94 მ²-ს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს ;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „თევზსავალის არხი ისე მოეწყობა, რომ შეიქმნას მრავალი გუბურა/აუზი, რომელშიც სხვადასხვა ზომის ქვები განთავსდება.“ გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია

თევზსავალის შესახებ, მათ შორის, გუბურას/აუზის ან/და საფეხურების რაოდენობის მითითებით;

- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 1.1. ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო არეალში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი და სარგებლობის საფუძველი ან/და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების სტატუსის შეცვლის (არასასოფლო-სამეურნეო) შესახებ;
- სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის, 3.8 ქვეპუნქტის („2 მეგავატიდან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია“) შესაბამისად, თუმცა დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ნაპირდამცავი ნაგებობებისა და 35 კვ ძაბვის ეგბ-ის გაყვანა-ექსპლუატაცია, რაც კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს განეკუთვნება. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველი საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ეგბ-ის საპროექტო დერეფანი ხვდება კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სასმელად გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი, ხოლო სამეურნეო დანიშნულებით, შემოტანილი წყალი.“. წყლის შემოტანის საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჰესის ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე, პირველივე წყალდიდობის დროს ნაწილობრივ მოხდება ზედა ბიეფის ნატანით შევსება და მნიშვნელოვნად შემცირდება შეგუბების სარკის ზედაპირის ფართობი. მნიშვნელოვანია, რომ სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში შექმნილი შეგუბება, პრაქტიკულად მცირედით გაცდება მდინარის აქტიურ კალაპოტს.“ აღნიშნული საკითხი საჭიროებს განმარტებას, გზშ-ის ეტაპზე;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მეორე სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 63.19.34.532)“, თუმცა

აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს ახალი საკადასტრო კოდი: 63.19.34.655, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ სათავე ნაგებობასთან მდებარე სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე (ს.კ. 202.63.19.34.011.004) ამჟამად, სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, მიმდინარეობს საკუთრების უფლების რეგისტრაცია კერძო პიროვნებაზე, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას, ხოლო მიწის ნაკვეთის კერძო სკუთრებაში არსებობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სარგებლობის შესახებ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეთთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავეების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანზე 4.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.